



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**  
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**



KA011731600186521

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 137170

30 / მარტი / 2021 წ.

**გადაწყვეტილება**

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ**

**ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი:** 148064/17; **თარიღი:** 26.03.2021 წ.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:** ავთანდილ ვახტანგიშვილი (პირადი ნომერი 07001000702).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი ტერიტორიული სამსახურის დასახელება:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისი“).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება:** სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №882020496778-17 (23.02.2021 წ.) გადაწყვეტილება.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

**ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართული პირი:** ზოია მურმანიშვილი (პირადი ნომერი 07001000306).

**უძრავი ნივთის მისამართი:** ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხოსპიო.

№148064/17 (26.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

№ 882020496778 (02.08.2020 წ.) და № 882020750261 (10.10.2020 წ.) განცხადებებით სარეგისტრაციოდ წარდგენილი მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ზედდება. № 882020750261 (10.10.2020 წ.) განცხადებაზე დაინტერესებული პირია ზოია მურმანიშვილი (პირადი ნომერი 07001000306).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგინდა დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგინდა წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.


ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ავთანდილ ვახტანგიშვილის (პირადი ნომერი 07001000702) №148064/17 (26.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი;
2. № 148064/17 (26.03.2021 წ.) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს ზოია მურმანიშვილი (პირადი ნომერი 07001000306);
3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ოფისს და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირს;
4. დაინტერესებულ მხარეს განემართოს, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლსა (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2) და ახალქალაქის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ. № 9) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
6. წინამდებარე გადაწყვეტილება, ასევე, საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

**წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

დავით დევიძე